UDC [808.5:17]
SCOPUS CODE 3315
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-352-364

მჭევრმეტყველების ფენომენის გააზრებისთვის

ვაჟა პაპასკირი ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: v.papaskiri@gtu.ge

რეცენზენტები:

მ. შელეგია, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებებათა ფაკულტეტის, ასოცირებული პროფესორი
E-mail: mamukashelegia@yahoo.com

ლ. ქათამაძე, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებებათა ფაკულტეტის, ასოცირებული პროფესორი
E-mail: qatamadzelia12@gtu.ge

ანოტაცია. სამყაროში ღმერთმა კომუნიკაციის უნარი უპირველესად ადამიანს მიანიჭა, ამდენად იგი „ვალდებულია“ შესაფერისად „გამოიყენოს“ ღვთითბოძებული ნიჭი. რაც უფრო ჩქარა მოირღვევა ადამიანთა მთელი თაობების მიერ შექმნილი „უხეირო აზრთა“ შეფარვის „უნიკალური ხელოვნება“, მით უფრო სწრაფად ვეზიარებით და დავეწაფებით გულწრფელობის ოკეანეს.

კომუნიკატორს მარად უნდა ახსოვდეს და უკვირდებოდეს იმას, თუ რა ძნელია „საკუთარი თავის“ შეცნობა და, რაოდენ „მწირია“ მისი შესაძლებლობები სხვათა ბუნებისა და ქმედებების გასაანალიზებლად.

ფიქრი და დაკვირვება, აზრი და გონება მოწესრიგებული კომუნიკაციის საუკეთესო საფუძველია, რადგანაც ის, რაც ნაფიქრალია, მარადიული მშვენიერებითაა დაღდასმული. კომუნიკაციური ურთიერთობისას უპრიანია სწორედ მათ დავემყაროთ, რადგანაც ნებისმიერი ქმედებისას ყველაზე ლოგიკურ გზას სწორედ მათზე დაყრდნობითა და თანადგომით ვპოულობთ. ის, ვინც ფლობს ბრძნულად აზროვნებისა და ღრმად დაფიქრების „ტექნოლოგიას“, აზრმიტანებულ რიტორიკასა და დინჯ, მშვიდ განსჯას, არასდროს აღიარებს, როგორც საკუთარ, ისე განსხვავებულ აზრს, ერთადერთ და შეუვალ ჭეშმარიტებად.

კომუნიკაციის უპირველესი იდეა სიკეთის სამსახურია. ემსახურო მას ნიშნავს, - იყო ჭეშმარიტად კომუნიკაბელური, „სხვათა ჭირის“ გამზიარებელი, მსოფლმხედველობითა და მისწრაფებებით თავისუფალი, მიუკერძოებელი და სიკეთისადმი უაღრესად მიდრეკილი ადამიანი.

ნებისმიერ აზრს, განსაკუთრებით კი ნაუცბათევს, მომწიფება სჭირდება, უმჯობეია იგი „მანამ დაღვინდეს“, სანამ ბაგეთა საზღვრებს გასცდება. ყოველი კომუნიკატორი ნებისმიერ ჩვენგანში, მისი ნააზრევის სასურველ ნავსაყუდელს ხედავს.

ნებისმიერი ურთიერთობისას კომუნიკაცია ვალდებულია მაღალი ზნეობის ფილოსოფია წაიმძღვაროს, რომელსაც ადამიანი „მხოლოდ განსწავლულობით“ ვერასდროს დაეუფლება, რადგანაც ეთიკური – საუკუნეებით ნაძერწი მორალური მენტალიტეტი – მეტწილად, განსწავლულობით შემეცნებულთან ერთად, ქვეცნობიერისა და გენეტიკურის პეროგატივაცაა.

საკვანძო სიტყვები: აზროვნება და დაკვირვება; გულწრფელობა; ზნეობა და ეთიკა; კომუნიკაცია; მორალური მენტალიტეტი; რიტორიკა; საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა; სიკეთის მსახურება; ფილოსოფია; ქვეცნობიერი და გენეტიკა; შეცნობა საკუთარი თავისა და სხვების.

შესავალი

ენამჭევრობა, უპირველეს ყოვლისა, დარწმუნების ხელოვნებაა. ქვეყნად არაფერია ისე მაცდური, როგორც ჩვენი, საკუთარი, ორატორული შესაძლებლობების წარმოჩენა. მეტყველება ხომ მრავალ, სხვადასხვა მიზეზთა, უპირველესად კი, სულიერი ტკივილისა და აღტაცების გარეგნული გამოვლენაა, ამიტომაც ადამიანი არასდროს „უშვებს ხელიდან“ შესაძლებლობას (შემთხვევას) რიტორიკული „გაბრწყინებისათვის“, რომელშიც თავს იყრის მეტყველებითი არტისტიზმის მრავალი ნიუანსი: „შიშველი“ სიმართლის გამაოგნებელი ზემოქმედება და ტკივილებისაგან „დაფერფლილი“ სულის „ღია ჭრილობები“. როდესაც ვისმენთ ორატორის, „ვნებებისაგან გათანგულ“ ფრაზებს, თითქოს გვავიწყდება რეალური გარემო და ვემსგავსებით იმ მონუსხულ მაყურებელს, რომელიც დიდი ხელოვანისაგან, სცენაზე გათამაშებული ტრაგედიის გავლენის ქვეშ იმყოფება.

მჭევრი ანუ მჭევრმეტყველი, ეს არის გამორჩეული მეტყველებით აღჭურვილი „მსახიობი“, რომელიც მთელი თავისი შინაგანი თუ გარეგანი დახვეწილობით წარმოაჩენს: ადამიანური ვნებების, სურვილებისა თუ მისწრაფებების უკიდეგანო ფილოსოფიურ სიღრმესა და ჯადოსნური შეფერილობებით აღსავსე ნეტარებას. აშკარაა, რომ ნებისმიერი ორატორი ადამიანური ემოციების გაძლიერებითა და შესუსტებით წარმოსახავს იმ დადებითი თუ უარყოფითი მოვლენების მნიშვნელობას, რომელიც ამ უკანასკნელმა შესთავაზა საზოგადოებას განსასჯელად. იმავდროულად, ორატორი თავისი „ზებუნებრივი“ მეტყველებით ადამიანისათვის აღმაფრენისა თუ უკიდურესი პესიმიზმის მიმნიჭებელიცაა. ორატორმა უნდა უზრუნველყოს მაღალი ხელმისაწვდომობა ნებისმიერ ფაქტთან თუ მოვლენასთან და თავისი უბადლო ხელოვნებით „ჩამოაყალიბოს“ მისთვის სასურველი სამყარო. ამ მიზნის აღსასრულებლად რიტორი იყენებს სხვადასხვა ტრადი-

ციულ თუ ნოვატორულ მეთოდებს, რომლებიც საბოლოდ ქმნიან იმ სასურველ გარემოს, რომლის ხორცშესხმაც ჩაფიქრებული ჰქონდა.

ძირითადი ნაწილი

რიტორის მეტყველებამ ძალუმად უნდა „შეაღწიოს“ ადამიანის ფსიქოლოგიურ სამყაროში, რათა გამოიწვიოს და უზრუვნველყოს, ამ უკანაკსნელისათვის, სასურველი „ცვლილებები“ და მოიპოვოს ასეთივე, მძლავრი მხარდაჭერა საზოგადოებისაგან. ორატორი უნდა ფლობდეს ნიჭს ისეთი სიტყვათწყობის შეთხზვისა, რომელსაც ხელეწიფება განსაკუთრებული, შესაფერისი მგრძნობელობით აღსავსე გარემოცვის გამოხატვა. სწორედ ამით, ეს უკანასკნელი, ახერხებს სულით ხორცამდე აღგვავსოს მწუხარებითა თუ სიხარულით, ეჭვიანობითა თუ თანადგომით, ცბიერებითა თუ ჰეროიკული შემართებით, მოულოდნელი შეცბუნებითა თუ „შესაშური“ გულგრილობით. ორატორი სწორედ, გონებრივი შესაძლებლობებითა და მასთან შერწყმული მეტყველების უდიდესი ნიჭით, სხვადასხვა სინთეზური ფორმით აღწევს მსმენელის მომხრობას, „ღრმად ჩამარხული“ იდეებისა და რწმენის ცვალეზადობას, იგი იძულებულს გვხდის: „გაგვიღვივოს“ ან შეგვისუსტოს სინანულის გრძნობა, მოგვირღვიოს დაპირისპირება ვინმეს ან რაიმეს მიმართ, ეჭვქვეშ დააყენოს და ძალუმად შეგვირყიოს აზრი მავანთა და მავანთა მიმართ, სრულიად მოულოდნელად „შეგვაყვაროს“ დაუძინებელი ოპონენტი ან პირიქით...

საწინააღმდეგო იდეის ოსტატურად გაბათილებაც და ბრძნულად უარყოფაც ნამდვილ ორატორულ ნიჭს მოითხოვს. „განცდების ჩვენება“, ზოგჯერ მრავლისმეტყველ „მდუმარებასაც“ მოიცავს და ზოგჯერაც საკუთარი აზრის ხმაურიან ფიქსირებასაც. თუმცა „უხეში“ ზეწოლა მსმენელზე ვერასდროს იქნება დამატებითი სარწმუნო დეტალების მიმწოდებელი.

ადამიანს ოდითგანვე აინტერესებდა თუ რატომ ხიბლავდა მას სიტყვაკაზმული მეტყველება, რა იყო მასში ისეთი, რომელიც მასზე ასე მოქმედებდა. ეს ინტერესი დღემდე გრძელდება და არ არსებობს ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ რა შინაგანი და გარეგანი ფაქტორები განსაზღვრავს მას. რა უნდა მივიჩიონთ ორატორისათვის განსაკუთრებული თვისებების მიმნიჭებლად, გარდა კლასიკური ცოდნისა: ალბათ, შესაბამისი ხასიათის შექმნა სამეტყველო პროცესში, ასეთივე განწყობის „მოპოვება“, ან სულაც, სათქმელის მისაწოდებლად უპრიანი დროის შერჩევა. ამ უკანასკნელს უნდა ჰქონდეს სათქმელის, პრობლემის ვიწრო ჩარჩოებიდან გამოყვანის ოსტატობა და შეეძლოს პოეტური, გულშიჩამწვდომი დეტალებით ძერწვა. ნამდვილი ორატორისაგან ადამიანი ნანახის, აწ უკვე მრავალგზის ხილულის თუ ნაგრძნობის „უსულგულო და უსახურ“ ასლებს კი არ უნდა ისმენდეს, არამედ სრულიად განსხვავებულ და, თანაც, ყველაზე ჭეშმარიტ შეფასებებს, ყველაზე მართებული კუთხიდან.

„ამოჩემებული“ თვალსაზრისის მიმართ ორატორმა განსხვავებული სტრატეგია უნდა შეარჩიოს, რაც, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს აწ უკვე არსებულ თავლსაზრისში ჭეშმარიტი სიახლის შეტანას და მტკიცედ ჩამოყალიბებულ რწმენაში ნაპრალის გაჩენას. სწორედ ამაზე უნდა დაფუძნდეს ორატორისათვის სასურველი გარემოს შექმნა. საზოგადოებაში აწ უკვე მტკიცედ არსებული აზრის საბოლო-

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

ოდ უარყოფისათვის, ზემოთ დასახალებელი „ბიძგები“ აუცილებლობას წარმოადგენს. ამ დროს ყველაზე უპრიანია „კონტრასტის ეფექტის“ გამოყენება და ხილული, სიტუაციური ფონისათვის სწორად მორგება.

ორატორისათვის სასურველი გარემო არამხოლოდ ვერბალური ფორმით გამოიხატება. იმავდროულად, მნიშვნელოვანია მოზომილი და ამა თუ იმ მდგომარეობის შესაფერისი სახითმეტყველება, რომლის კონტროლიც და მართებულად გამოყენებაც უუმჯობესებს ორატორს გარემოს სასურველი მიზნის მისაღწევად. სამეტყველო და „გარეგნული ინტელექტი“ მჭევრმეტყველს უდავოდ „მაღალ ქულებს“ ანიჭებს. ორატორი, ახალ, განსხვავებულ რწმენას ქმნის, ამით კი სადისკუსიო საკითხისადმი სრულიად ახლებურ და განსხვავებულ მიდგომას გვთავაზობს. იგი წარმოგვიდგენს შეფასებისა და რეალობის აღქმის ახალ პროცესებს, უფრო სწორად მის ახლებურ მოდელს, რომელსაც უნიკალური მეტყველებით აფიქსირებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანზე ზემოქმედების განსაკუთრებული წვლილი მოდის რიტორის მეტყველებით უნარებსა და შესაბამისად გამოყებეულ გარეგნულ ეფექტებზე, თუნდაც ისეთზე, როგორიცაა: გარეგნობა, დახვეწილი იერი, დახვეწილი ჩაცმულობა და ასეთივე იერ-სახე თავად ორატორისა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ რიტორი ჭეშმარიტებას, ანუ სიბრძნეს განსხვავებული თვალთახედვით აღიქვამს და ის, რაც სხვა დროს სრულიად „ჩვეულებრივი და მისაღები“ ფორმით ცნობილი იყო ჩვენთვის – მსმენელისთვის, სულ სხვა, სრულიად განსხვავებულ გრძნობებს და იდეებს აღძრავენ. მჭევრის მიზანი ფაქტის, სათქმელის „მშრალი“ დასურათხატება კი არ უნდა იყოს, არამედ იმ ფაქტის, ყველაზე მთავარი და საგულისხმო იდეის სწორად ამოცნობა და განჭვრეტა იმისა, რასაც, ეს უკანასკნელი შემდეგში გამოიწვევს. მჭევრის ხელში ესა თუ ის რეალობა იძენს განსხვავებულ აქტივობას და, იმავდროულად, განსაკუთრებულად ყურადსაღები ხდება. ზოგჯერ ეს აზრი, მეტყველების აქამდე უცნობი და უნიკალური მეტყველების ფორმითაა შემოსილი, რითაც საზოგადოებაზე ზემოქმედების უნიკალურ საშუალებას იძენს.

ორატორი ფაქტის შეფასებისას სხვადასხვა კუთხით წარმოაჩენს მოვლენის განვითარების შესაძლებლობას, მისი სიტყვის ძლიერება რეალური მდგომარეობის აღწერის და მისი შესაძლო განვითარებისა და დინამიკის ხელშესახებად აღქმაშია, რაც სარწმუნოს ხდის იმ პერსპექტივებს, რომელიც, თითქოს, მანამდე უხილავი ჩანდა. ის ცოდნა და მოძღვრება, რომელიც მოემართება ოქოპირი მთხრობელისაგან ერთდროულადაა: არასასურველი სიტუაციიდან უდავო გამოსავალიც, მომავლის ნათელი პერსპექტივაც და მიუკერძოებელი პირუთვნელობაც. სწორედ ეს აგრძნობინებს აუდიტორიას ორატორის სიტყვის ძლიერებას. ორატორი არსის ასახვისას მჭევრმეტყველებას ანუ სიტყვიერების ხელოვნებას იშველიებს. ამით აღწევს ის სრულქმნილებას. სიტყვით გამოსვლისას იგი იყენებს, როგორც უნიკალურ, კლასიკურ მოდელებს, ისე, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სიტყვათწყობას და სათქმელის პროპორციულად მიწოდების ხერხს, ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდები ისევე სჭირდება გამართულ მეტყველებას, როგორც ადამიანის სხეულის ენის ზედმიწევნით ცოდნა სჭირდებოდათ ანტიკური ეპოქის უბადლო ოსტატებს სიტყვათა

განლაგებასა და ენის ლექსიკურ სიმდიდრეზეა დამოკიდებული სიტყვის ძალუმი ბუნება, რომელსაც ორატორი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორი ჯერადობით აწვდის მსმენელს. უდავოა ის ფაქტი, რომ ორატორის სიტყვა მრავალი აუცილებელი კომპონენტისაგან შედგება, რომელთა შორის მთავარია ენა, თავისი მრავალფეროვანი ლექსიკით და ლოგიკურ-გრამატიკული ფორმებით. მჭევრობისას უმნიშვნელოვანესი თავად რიტორია, რომლისგანაც მოემართება ეს უნიკალური მეტყველება. ასე რომ, როცა ვაქებთ ორატორს, არსებითად ხოტბას ვასხამთ იმ ენას, რომელზეც ის მეტყველებს, თუმცა, ეს უკანასკნელი ხშირად „ჩრდილში ექცევა“ და დაფნის გვირგვინის მთელ წილს, ორატორს ვადგამთ თავზე. აშკარაა, რომ სიტყვაკაზმული მეტყველება „სამოთხეს აღებს“ დედამიწაზე. ყოველმხრივ შეზავებული და ჰარმონიული მეტყველება უდავოდ დიდ შრომას მოითხოვს, მანამ, სანამ ის ჩვენს საზროვნო ფუნქციას მიეწოდება.

მეტყველების ხერხებიდან განსაკუთრებულია სიტყვის კონტრასტული აგების მოდელი, ეს უკანასკნელი საშუალებას იძლევა მსმენელთან მაქსიმალურად ახლოს მივიტანოთ სხვადასხვა შედარებაზე აგებული სარწმუნო მტკიცებები, უფრო ფართო გავხადოთ გადმოსაცემი აზრის მასშტაბები.

მთხრობელის ანუ ოქოპირის უპირატესობა ისაა, რომ იგი „თავისუფალია“ ამა თუ იმ თემის შერჩევისა და საჯაროდ გამოტანისას, მას აქვს სხვადასხვა მეტყველებითი ხერხი აზრის გადმოსაცემად, მათ შორის, უპირატესს თავად ირჩევს, შეუძლია, უპირველესად, საკითხის ისტორიას მიმართოს და ამგვარი წიაღსვლით შეამზადოს და გაამდიდროს ნიადაგი მთავარი თემის განსახილველად, ასევე ძალუძს პირდაპირ, ყოველგვარი შესავლის გარეშე, დაიწყოს მსჯელობა მთავარ საკითხზე, შეუძლია გაამწვავოს სიუჟეტი მნიშვნელოვანი ეპიზოდებით; შეუძლია „მშვიდი“ შესავალი ოსტატურად გადაზარდოს „მეხთა ტყორცნაში“; შეუძლია ისაუბროს მინიშნებით ან გააშიშვლოს მთავარი სათქმელი და ა.შ., მაგრამ მანერა ინდივიდუალური თხრობისა, ნებისმიერ, ზემოჩამოთვლილ სიტუაციაში, უნდა შეინარჩუნოს, სიტყვიერი სამკაულები კი მაქსიმალურად ბუნებრივი და მარტივად აღსაქმელი სჯობს. სადავოა ის ფაქტი თუ რამდენად უხდება ორატორის მჭევრობას „გადამეტებული“ სინატიფე, სილბო ან მელანქოლიური პასაჟები, თუმცა საჭიროებისას, ნებისმიერი მათგანის მოზომილად ჩართვამ, არ მგონია უარყოფითი გავლენა იქონიოს მეტყველების საერთო სურათზე.

მთავარ სათქმელთან ერთად, არაერთ შემთხვევაში, ორატორს შეუძლია აქცენტი მიმართოს ისეთ მეორეხარისხოვან დეტალებზეც, სადაც, უფრო კარგად ჩანს პერსონაჟის ან სხვა რომელიმე ეპიზოდის სული, რაც შესაძლებლობას მისცემს მას, შექმნას მყარი ნიადაგი უფრო დიდი, მასშტაბური ნახტომისათვის. აშკარაა, რომ განცდის გამოწვევა, არაერთ შემთხვევაში, უმნიშველო დეტალსაც მშვენივრად ძალუძს. მეტყველებისას განსაკუთრებით სახიფათოა ორაზროვნება. ეს უკანასკნელი აუცილებლად უნდა განვასხვაოთ ენამოსწრებულობისაგან, რომელიც, ასევე, რთულად გამოსაყენებელია მეტყველებაში.

ფრაზების მოხერხებული წყობა, ასევე მოპოვება სიტყვათა ისეთი რიგისა, სადაც ხმოვნებისა და თანხმოვნების ჰარმონიული გადანაწილებაა თვალსაცემი, საშუალებას აძლევს ორატორს ლაღად და შე-

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

უფერხებლად წარმოთქვას სასურველი ფრაზა. ქართული ბუნებრივი ფრაზის ამგვარი გამოყენება (ქვემდებარისა და შემასმენელის, წინადადების სხვა წევრების სწორი, რიგობითი მონაცვლეობა) აადვილებს ორატორის მიზანს – გაახმოვანოს აზრი ნათლად, და თანაც ყოველგვარი ზედმეტი დაძაბვის გარეშე. სიტყვა, რომელიც უხსოვარი დროიდან კოდირებულია ადამიანის მიერ, გარკვეული განლაგებისას, ქმნის აზრის განსხვავებულ სამოსს, რაც უფრო სრულყოფილია ეს სამოსი, მით უფრო დიდია გემოვნება და სრულყოფილება მისი შემოქმედისა.

რიტორისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქსესუარია გამჭოლი ანუ წინასწარი ხედვა, რას გულისხმობს იგი?! უპირველესად იმის ამოცნობას, თუ როგორია აუდიტორიის ან თუნდაც ერთი მსმენელის განწყობა იმ საკითხის მიმართ, რომლის შესახებაც ის აპირებს საუბარს და თუ მან ეს სწორად შეძლო, ნიშნავს, რომ მან პირველი წარმატება უკვე, სიტყვის დაწყებამდე, მოიპოვა, რომელიც, სურვილის შემთხვევაში, „სრულად განაიარაღებს“ აუდიტორიას.

ადამიანის სახე, განსაკუთრებით კი თვალები, ორატორის მეტყველებისას ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ხდება, თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანის შინაგანი ემოციის ჩვენებას სხეულის დაფარული ნაწილები, სრულად მოკლებულნი არიან. ალბათ, ამიტომ ქმნიდნენ ანტიკურ ხანაში მხატვრები და, განსაკუთრებით კი, მოქანდაკეები უმეტესად შიშველ სხეულებს. ისინი სხეულის ენით, სხეულის თითოეული დეტალით ხატავდნენ სასურველ სურათს, სიმშვიდესაც და უკიდურეს დაძაბულობასაც. რას გვეუბნება ლაოკოონის დიდებული ქმნილება?! ვერავინ იტყვის, რომ აქ სხეულის მხოლოდ რომელიმე ნაწილი ცალკე „მუშაობს“ მნახველზე. ეს მთლიანი კომპოზიციაა, სადაც შიშველი სხეულიც და ნაწილობრივ შემოსილიც, ერთდროულად და ერთობლივი ძალით მოქმედებს ჩვენზე. თუმცა პრიორიტეტი, ამ საოცარ ქმნილებაში აზრის გამოხატვისას და ემოციურად გადმოცემისას, სხეულის შიშველ დეტალებს ეკისრება. დავაკვირდეთ ლუვრისა და ვერსალის ან სხვა რომელიმე დიდებული სასახლის საგამოფენო დარბაზებს, სადაც ვხედავთ, თუ რაოდენ მრავლადაა წარმოდგენილი შიშველი სხეული, რაც, უპირველეს ყოვლისა, მიანიშნებს იმაზე, რომ ხელოვნების ჯადოქრებს კარგად ჰქონდათ გააზრებული ის ფაქტი, რომელზედაც წინარე სტრიქონებში ვისაუბრეთ. დავაკვირდეთ იმ ფაქტს, რომ თვით მადონა ლიტას ძერწვისას, იტალიელი დიდოსტატი ლეონარდო და ვინჩი მთავარ აქცენტს მის სახესა და ხელებისკენ მიმართავს, თუნდაც რომ მადონას სახე სრულიადაც დაფარული ჰქონდეს, მისი თლილი თითები იმდენ ინფორმაციას შეიცავს მისი პატრონის შესახებ, რომ არავის ეპარება ეჭვი ავტორის ხელოვნების გულწრფელობაში, ამ ღვთიური ხასიათის გადმოცემისას.

ყოველი დიდი ოსტატი, რა თქმა უნდა, ბუნების (განგების) მიერაა განებივრებული, ამ მხრივ არც მჭევრმეტყველნი გამორჩენია შემოქმედს. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ამ კუთხით გამორჩეულნიც კი არიან. ის, ვისაც თავი რიტორად წარმოუდგენია „ვალდებულია“ იფიქროს ადამიანთა „მარადიულ ტკივილებზე“, რომელთაც საზღვარი არ აქვს, „ჩაუღრმავდეს“ ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის მსახურებას, დასჯერდეს იმას, რაც მისთვის ღვთი-

თბოძებულია და „ ნუ წაეპოტინება“ იმაზე მეტს, რაც მისთვის, მისსავე მთავარ გონს „აუკრძალავს“.

სიტყვის წარმოთქმისას ორატორის მიზანია თანამოწმედ და თანამოზიარედ გაიხადოს ადამიანთა გარკვეული მასა, ჯგუფი ან ინდივიდი, თუმცა ეს პროცესი, არასდროს მიმდინარეობს მკაცრად განსაზღვრული და მწყობრად აკინძული სისტემით. მთავარია საუბრისას, მხედველობიდან არასდროს გამოგვრჩეს ის მთავარი და წამმართველი, რომელმაც დუმილი დაგვარღვევინა. რიგ შემთხვევაში, თვით გაცხოველებული პოლემიკისას, შეიძლება გადავაწყდეთ სრულად ახალ, ხელმოსაკიდ იდეას, რომელმაც შეიძლება ისე გაგვიტაცოს, რომ ასგზის ნაფიქრალი და მოზომილი, სრულად შეცვალოთ. მჭევრის ლექსკური საუნჯე უნდა იყოს თანაბარი წონადობისა და სიძლიერის სიტყვებით „საბოძვარულევი“. მართებულად მეტყველი ვალდებულია სწორად მოარგოს სიტყვიერი სამოსელი ყოველ ეპიზოდს. მას უსწრაფესად უნდა შეეძლოს შესაფერის სიტყვათა ლაშქრის მოხმობაც და შესაბამისი სიტუაციის შერჩევაც. უპირველეს ყოვლისა, რიტორი ფილოსოფიურ აზრს და ფილოსოფოსებს უნდა მეგობრობდეს. მათ წინაშე „ქედმოდრეკილება“ სრულს ქმნის მის მეტყველებას და მტკიცე საყრდენს უქმნის მეტყველების ზომიერებასა და კეთილგონიერებას.

ვისაც კი ენა ამოგვადგმევინა უფალმა, მჭევრმეტყველებით გატაცების სურვილიც იქვე დაახვედრა. ეს უკანასკნელი იმდენად ღრმადაა ადამიანში გამჯდარი, რომ თითქმის არავის სძალუძს დაიოკოს სურვილი ოქოპირობისა და, უპირველესად, საკუთარ თავს „გამოუტყდეს“ მის მწირ რიტორიკულ შესაძლებლობებში. მეტყველებით „ნეტარება“, სიამოვნების ერთ-ერთი კატეგორიაა, რომელიც თავისი მიმზიდველობითა და მაცდურობით ყველა ეპოქაში ქურუმთაგან მრავალს იკრებდა. გონიერი არსებები ანუ ადამიანები, სამწუხაროდ, არც თუ ისე იშვიათად, ფიქრზე მეტად, ლაპარაკს უთმობენ მეტ დროს. ამქვეყნად ჯერ არავის უნახავს ზედმეტად „მორატრატე“ ბრძენი. მეტყველება შესაძლებლობის გამოვლენაა, თანაც ისეთის, რომელიც მუდმივად თან დაატარებს მისი პატრონის გონებრივი შესაძლებლობის უტყუარ ნიშნებს, „უკიდეგანოდ ამეტყველებულ“, ნებისმიერ ჩვენგანზე. მოხალისე რიტორები ნაკლებად უფიქრდებიან იმ ფაქტს, რომ ფუჭი მეტყველებით, გარშემომყოფთ უფრო აზიანებენ, ვიდრე საკუთარ თავს. ამგვარ მოხალისეთაგან არავინ ფიქრობს ჭეშმარიტ გონთან თანაზიარობაზე, ერთი სიტყვით, მათთვის ეს პროცესი ჟინის მოკვლისა და განტვირთვის საშუალებადაა ქცეული. მრავალი დარწმუნებულია, რომ მისი მეტყველება უზადოა ანუ საოცრად უნაკლო, რაც ანიჭებს მათ ღრმად დარწმუნებულობას თავის „ორატორულ შესაძლებლობებში“. აი, რატომ ვერ ვმეტყველებთ აზრთან თანაზიარობით, რატომ აკლია ჩვენს მეტყველებას მოზომილი საუბარი. „ბედნიერია ის“, რომელიც ჭეშმარიტ რიტორიკას მიჰყვება და შემეცნებული აქვს, რომ ბრძნულად მეტყველებას ხანგრძლივი და დაუღლელი წვრთნა სჭირდება.

მეტყველება მართებულად გაგებულ ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. „შეუსაბამო მეტყველება“, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ისეთს, რომელიც ფიქრით და განსჯით არაა ნასაზრდოები. ესაა მეტყველება, რომელიც სავსეა მცდარი წარმოდგენებით ან ვიწრო ინდივიდუალური ინტერესებით. მეტყველების უპირველესი მტერი გადმოსაცემი

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

აზრისა და სათქმელის ბუნდოვნებაა, უფრო სწორად ბუნდოვანი წარმოდგენა იმ საკითხზე, რომელზეც ვმსჯელობთ, ამ ფაქტს ვერ გადაფარავს, ვერც ერთი სამეტყველო ფანდი, ვერც ერთი ეპიზოდური ჩანართი, პირიქით, ყოველგვარ აზრს მოკლებული წიაღსვლები, მხოლოდ და მხოლოდ, აშიშვლებენ „ხაფანგში მომწყვდეული“ მჭევრის უბადრუკ შესაძლებლობებს. არ შეიძლება მთავარი სათქმელი მეტყველების პროცესი „მომწიფდებოდეს“, სწორედ ასეთი უწიფრობა აძლევს ჩვენ მიერ წარმოთქმულს ნაკლოვანების უტყუარ ბეჭედს. მხოლოდ და მხოლოდ სიბრძნით შემოსილი მეტყველება – აი, ქვაკუთხედი რიტორობისა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მთავარ იდეასთან თანთხზული ამბავი, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ დამოუკიდებელ ეპიზოდად, თუ ამ ჩანართის იდეა, ხელს შეუწყობს მთავარი სათქმელის გონისმიერ და მიზანმიმართულ ხედვას. ჩართული ეპიზოდი ასევე შეიძლება ჩამოყალიბდეს ძალზე მნიშვნელოვან და განმსაზღვრელ ნაწილადაც მთავარი სათქმელისა, მან შეიძლება გაზარდოს ნეგატიური ან პოზიტიური განწყობები მსმენელთა შორის, მოტივირებული გახადოს ინტერესი თითოეულ ინდივიდში, ხელი შეუწყოს სტერეოტიპების მსხვრევასა და წარმოდგენების კარდინალურ ცვლილებებს. თუ რიტორს სურს ორაზროვნების შემოტანა საკამათო თემაში, ეპიზოდი სწორად უპრიანი ადგილია ამგვარი სურვილების აღსასრულებლად. ეპიზოდს არ ევალება „აურზაურის” შემოტანა მთავარ სათქმელში, იგი, უმეტესად, მთავარი იდეის დამაზუსტებელი ან საეჭვო გარემოზე მიმანიშნებელი შეიძლება იყოს.

ვინაიდან გამართული მეტყველება, ადამიანური შესაძლებლობების მწყობრი სისტემაა, ეს ფაქტი თავისთავად გამორიცხავს ყოველგვარი ქაოსისა და მიუღებელი აზრის ფიქსირებას. გონიერი მჭევრობა აფართოებს მსმენელის მსოფლგაგებასა და აღქმას, მჭევრობით მონუსხული მსმენელი, სრულად მინდობილი ხდება ორატორზე და სავსებით იაზრებს იმ იდეებს, რომელიც არცთუ შორეულ წარსულში, მისთვის მიუღებელი იყო. მსმენელის გონების, მისი თვალსაწიერის გაფართოება და სააზროვნო არეალის გავრცობა, რიტორის პირდაპირი ფუნქციაა, სწორედ, რომ გონის მეტად გააქტიურებაც და იავარქმნაც ოქოპირს ხელეწიფება. აზრის, საკვანძო დეტალების განთავსება მიმზიდველ სტრიქონებში, ხელს უწყობს მოწოდებული რიტორული შეგონების სრულად შესრუტვას მსმენელთა აზროვნებაში.

ადამიანი, არც ერთ ეპოქაში, ჭკვიან, მაგრამ ავსა და ბოროტ ადამიანს ბრძენს არ უწოდებდა, ვინაიდან სიბრძნე მხოლოდ და მხოლოდ კეთლისა და მართლის ქმნით მოიაზრებოდა. ორატორი უნდა ფლობდეს ისეთ სამეტყველო ნიჭს, რომ მის მიერ წარმოთქმული არა მხოლოდ „საამოდ ჟღერდეს“, არამედ ძალუმად შეიგრძნობოდეს კიდეც. მსმენელში ნებელობის აღძვრა და მისი სასურველი მიმართულებით მსწრაფლ განხორციელებისკენ მიმართვა, მჭევრის პირდაპირი ფუნქციაა. თანაზიარობის ჩასახვა და ჩამოყალიბება სანდო და მისაღები სიტყვებით იწყება და, შესაბამისად, მისგანვე აღძრული გრძნობებით ფორმირდება. შინაგანი გრძნობების და სურვილების შესფერისი და ემოციური სიტყვებით ქსოვა, უპირველესად, ღრმა განსწავლულობას ეფუძნება. აშკარაა, რომ რიტორობისაგან თავს ვერავინ მოიზღუდავს. თუმცა ამ გა-

ტაცების „ზომიერ" კალაპოტში მოქცევა საკმაოდ გააზრებულ და სწორ აზროვნებას მოითხოვს. მეტყველებითვე გადმოიცემა ესა თუ ის წარმოდგენები – ბოროტებაზეც და სიკეთეზეც – ამდენად ორატორს სურვილთან ერთად, აუცილებლად უნდა ჰქონდეს დუმილის ანუ თავშეკავების უნარი, რომლის გარეშეც მისი მეტყველება ნებაზე მიშვებულ ნამქერს დაემსგავსება. აქვე უპრიანია რიტორებს შევახსენოთ, რომ სიტყვის სიმწიფეს თავისი ჟამი აქვს, უჟამოდ წამოსროლილი, თუნდაც ბრძნული სიტყვა, აზიანებს თავად მისსავე ავტორს.

ორატორი, რომელიც მხოლოდ "სიტყვებით კეკლუცობს" და არად დაგიდევთ თუ რაოდენ აზიანებს, მიშვებული "ენაჭარტალობით", როგორც საკუთარ თავს, ისე მსმენელის გონებას. მჭევრის სიტყვა თავისი მეხსიერებითი მდგრადობით უნდა გამოირჩეოდეს. სიტყვამ სულის სიმშვიდე უნდა მოგვაროს ადამიანს და დააცხროს სასოწარკვეთილება ან უფლისავე ნებით, მომადლოს მას სასოწარკვეთილებიდან გამოსავალი. ორატორული სიქველე თანაზომიერია ყველა იმ დადებითი მოღვაწეობისა, რომელთაც სჩადის ადამიანი ცხოვრებაში. მჭევრობა არ არის „თვითნებობა" ან სიტყვათა ქაოსში უთავბოლოდ ხეტიალი, არც მხოლოდ დაუოკებელი ლტოლვაც, თავის წარმოსაჩენად, მას საკუთარი, სიბრძნით დიდად დტვირთული ბუნება და რუდუნებით ნაგები სტრუქტურული მომხიბვლელობა უნდა ჰქონდეს.

მოზომილი და მართებულად შეზავებული სიტყვა სიკეთედ ეფინება მთელ სამყაროს, რომლის ნაწილიც თავად ამ სიტყვების ავტორიცაა. ორატორის სიტყვა შინაგანი, გონებრივი წარმმართველის გარეშე, ვერ იქნება ვერც შემწე და ვერც მხსნელი ნებისმიერი გამოუვალი სიტუაციიდან. ამიტომაც, მას ვერ უნდა არყევდეს პირადული, ვიწრო შეხედულებები. ორატორი პირნათელი უნდა იყოს როგორც თანამედროვეთა წინაშე, ისე იმ თაობების მიმართაც, რომლებიც საუკუნეების შემდეგაც განჭვრეტენ მისი სიტყვის ფასსა და მნიშვნელობას, დროითი დისტანცია კიდევ უფრო მეტად საჩინოს ხდის თუ რაოდენ სწორი და მართებული იყო ესა თუ ის სიტყვა. აზრიანი და სწორად ჩამოქნილი მეტყველება ამქვეყნიურ სამკაულთა შორის, ერთ-ერთი რჩეულია. ამ სამკაულის ღირსეულად მატარებელნი, ყოველთვის, განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ. ყოველი სამეფო კარი, ყველა ეპოქაში, თვლიდა, რომ მჭევრმეტყველი მისი საიმედო კარისკაცი იყო, რადგანაც სწორედ ამ უკანასკნელს შეეძლო, მათთვის სასურველი აზრის, „სწორად და მართებულად განფენა".

როგორც აღვნიშნე, ორატორთაგან ზოგი თავისი არტისტული მანერებითა და სასიამოვნო ხმის ტემბრითაც იზიდავდა მსმენელს. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიზნით ისინი მეტყველებაში ლირიკული პროზის ელემენტებს უხვად იყენებდნენ, რაც მათ საუბარს ყოველთვის „მსუბუქ ფრთებს" ასხამდა და ფრაზას, გარეგნული ელფერით, მიმზიდველობას ანიჭებდა. თუმცა, ორატორთაგან მავანი უფრო მეტად „ძარღვიან" მეტყველებას ირჩევდა, ამ უკანასკნელის უპირატესობა ის გახლდათ, რომ წარმოთქმული სიტყვის ყოველი ფრაზა, არც ისე ადვილად ამოსაკითხი, მაგრამ სიბრძნით იყო გაჯერებული. აზრით ტევადი ფრაზებით მეტყველება, ბევრად უფრო მაღალი დონის ორატორობას მოითხოვს ოქოპირისაგან. ამგვარი მეტყველება თავს არიდებს ფიგურულ და ხატოვან გამოთქმებს და

უპირატესად „ძარღვიან“ და მძიმე ფრაზას ანიჭებს პრიორიტეტს. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამეტყველო სტილს ასევე განსაზღვრავს ის გარემოება, თუ რამდენად დინჯ, სერიოზულ თემას მიმოიხილავს ორატორი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მეტად ყურადსაღები საკითხის დემონსტრირებისას, უპირატესობა, აშკარად, შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებასთან ერთად, შესაბამისი სიტყვებისა და სიტყვა-კომპოზიტების მოძიებასა და ფრაზაში მათ ლაკონურად ჩართულობას ენიჭება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ფრაზები არასდროს მოითხოვს სათქმელის ლირიკული გადახვევებითა და მსუბუქი ჩანართებით დატვირთვას.

ნებისმიერი წარმოთქმული სიტყვა, მიუხედავად იმისა, თუ რა „წონისა და სიმძიმის“ საკითხს ეხება იგი, გარკვეულ მიზანს ისახავს, ორატორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მისი მეტყველება არ უნდა ჟღერდეს აქცენტირებული მზვაობრობითა და თვითკმაყოფილების დემონსტრირებით, კარგი სიტყვა ანდაზასავით მარტივი, ტევადი და მომხიბვლელი უნდა იყოს. სიტყვით „კეკლუცობას“ ყოველთვის „ძარღვიანი“ მეტყველება სჯობს, რისი ბრწყინვალე ნიმუშიც მრავალი ქართველი პუბლიცისტის, მათ შორის, ილია ჭავჭავაძის საჯარო და წერილობითი გამოსვლებია – სადაც არც ერთი სიტყვა, არც ერთი ფრაზა, არაა ზედმეტად მოხმობილი, ყოველი მათგანი თავის ადგილზეა ჩაწნული და თანაც, ღირსეულად ავლენს ავტორის გონებრივ და მეტყველებით შესაძლებლობებს. დაუშვებელი და დიდად უხერხულია თუ ორატორის ფრაზა ლოგიკურ ან „გრამატიკულ გამოხშირვას“ საჭიროებს. ენამზეობა უდიდესი პასუხისმგებლობაა. ადამიანური ვნებები, პრინციპები, ძველი თუ ახალ-თახალი შეგრძნებები, ერთდროულად და ერთბაშად, მიილტვიან გახმოვანებისკენ, თითოეული მათგანი ცდილობს იყოს პრიორიტეტული აზრის მეტყველებითი დემონსტრირებისას. ზნეობრივ პრინციპებზე აღმოცენებული მეტყველება სამართლიანობის ის ნაწილია, რომელიც პასუხს აგებს როგორც დღევანდელობასთან, ისე მომავალის წინაშე. ქართულ ენაში გვაქვს შესანიშნავი ფრაზა – სარწმუნო მეტყველება, ანუ მეტყველება, რომელიც თავისი ფაქტებით ეჭვმიუტანელია და დამარწმუნებელი. ორატორის სიძლიერე სწორედ ისაა, რომ მის მიერ ამეტყველებული ესა თუ ის ფაქტი, თვით „უმეცართათვისაც“ კი გასაგები და ხელმისაწვდომი იყოს. მისწვდე ორატორის ჩანაფიქრს, ნიშნავს ეზიარო და გაითავისო მის მიერ მოწოდებული იდეა და მიიჩნიო იგი სწორ შეხედულებად, თუნდაც, დროის, ამ მოცემული მონაკვეთისთვის.

თუკი სამეტყველო ასპარეზს ვნებათა ღელვას მივანდობთ, მას განუყრელ მეგობრად და მრჩევლად ფხიზელი გონება უნდა მივუჩინოთ, სწორედ ამ უკანასკნელისგან უნდა მიიღოს „თავაღერებულმა მეტყველმა“ მითითებაც და შეგონებაც. იმავდროულად უნდა გვახსოვდეს, რომ აუცილებელი საჭიროების გარეშე არ გავხვიოთ აუდიტორია მოუზომავი ვნებების ქარცეცხლში. სიწრფელით ანთებული ორატორული მოწოდება ზოგჯერ, ლოგიკას ნაკლებად ექვემდებარება, სიყალბით ნასაზრდოები მუდმივად შორს დგას ჭეშმარიტებისაგან. ადამიანთა უმეტესი ნაწილი, საღი აზრის მორჩილი და მიმყოლია, თუმცა, იმავდროულად, „ადვილად დამყოლია“ ნაკლებად სარწმუნო ფაქტების მიმართაც, მითუმეტეს თუ ისინი ავტორიტეტულ რიტორთაგანაა

გაჟღერებული. ამიტომ, სასურველი და აუცილებელიცაა, რომ მოსმენილის გააზრებისას მუდმივად სწორად ვწვდებოდეთ სათქმელის ჭეშმარიტ სიღრმეს, მჭევრის თვალს არ უნდა გამოეპაროს არც სათქმელის მწიფობის ჟამი და არც აუდიტორიის მზაობა. ამ ფაქტის მისაღებად ნუ მივცემთ სიტყვას აზრის „ადვილად დემონსტრირების“ საშუალებას, უპირველესად შეუწონეთ იგი გონებას, დროსა და ჟამს.

სათქმელი, როგორც ჩვენში აღიძვრება, „ნაკარნახევია“ სხვადასხვა შეგონებით, რჩევებითა თუ მოწოდებებით, ხანაც სახელდახელოდ შექმნილი სიტუაციით, მათი შესაბამისი სიტყვებით შეზავება და შერჩევა, „ოსტატის ხელს“ მოითხოვს. თუ მხოლოდ სხვის აზრს გავახმოვანებთ, მაშინ აუცილებლად, დავკარგავთ ინდივიდუალურობას, ხოლო თუ „გონივრულ სიჯიუტეს“ გამოვიჩენთ და მხოლოდ საკუთარ, ინტუიციურ ლოგიკას დავექვემდებარებით, მაშინ აუცილებლად მოგვიწევს სათქმელისა და მისი ფორმების ათასგზის აწონ-დაწონა, რათა უამრავთაგან, მივწვდეთ იმ ერთადერთს, რომელიც უტყუარად დაგვაყენებს სწორ გზაზე, და ჩვენს მეტყველებას შესძენს, როგორც შთამბეჭდაობას, ისე რეალობასთან სწორად მიმართების ბრძნულ გეზს. აუცილებელია თითოეული ფრაზა, მეტ-ნაკლები სიცხადითა და სიწრფელით ეხიდებოდეს მთავარი ამბის გამოკვეთას, თუმცა ყოველწამიერად ვერავინ იქნება უაზადო ოქოპირი და არავინაა დაზღვეული ნებსით თუ უნებლიე „ალილუიასგან“. თუ ორატორის მეტყველება ოდნავ მაინც იძლევა დაეჭვების საფუძველს, ეს უკანასკნელი გამოიწვევს ჰარმონიული მთლიანობის რღვევას და მაშინ, თუნდაც ყველაზე წრფელ ფრაზებსაც კი ნაკლებად ეფექტურსა და ნაკლებად სანდოს გახდის.

დასკვნა

როგორც აღვნიშნეთ, მეტყველებისას, გონების ხმა მუდმივად თანამდევი პროცესია და, იმავდროულად, საუკეთესო მეგობარიც. ის „გვაიძულებს“, რომ ყოველივე წარმოთქმული გულისყურით უნდა იყოს შეწონილი. ასევე, მნიშვნელოვანია თუ ვისკენ, რა კატეგორიის მსმენელისკენ მიემართება ჩვენი მეტყველება, მეტყველებითი ურთიერთობა გულისხმობს მსმენელსა და ორატორს შორის უწყვეტ აზრობრივ თანაკავშირს, რომლის დროსაც გონებრივი მიმართება, ამა თუ იმ საკითხისადმი, თანდათან იდენტური ხდება. მუდმივად უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი ჩვენი მოქმედება, უპირველესად კი, მეტყველება, არის მყარი ფუნდამენტი, რომელზეც დგას ადამიანთა შორის სწორი კომუნიკაცია. სიყვარულით და რუდუნებით გამოსკვნილი თითოეული ფრაზა აუდიტორიას აუცილებლად ჩართულს ხდის პროცესში, განაწყობს მას ორატორის იდეების თანამოქმედად და თანამონაწილედ. მარწმუნებელია ის სიტყვა, რომელიც არა მხოლოდ რჩეული ფრაზებითაა ნაშენები, არამედ, ის, რომელიც, იმავდროულად „მართლის თქმის“ პრინციპით ემსახურება ადამიანს. თუ ორატორის სიტყვა „მზრუნველობითა და სიყვარულით“ იქნება მიმართული აუდიტორიისადმი, შეგიძლიათ იფიქროთ, რომ თქვენი აზრის თანაზიარენი უკვე გყავთ. ორატორის სიტყვა აუცილებლად უნდა იყოს მიზანთან პროპორციული და საზოგადოების ცხოველი ინტერესის გამომხატველიც. წინააღმდეგ შემთხვევაში უკუპროპორციული შედეგები გარდაუვალია. ორატორი, რომელიც არ ცდილობს „აიძულოს“ აუდიტორია ჩასწვდეს მისი სიტყვების სიღრმეს, დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. ორატორისათვის უპრიანი იქნება ღრმად შეი-

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

მეცნოს, თუ როგორ აზროვნებს აუდიტორია, რომლის წინაშეც ის უნდა წარსდგეს, თუ რისკენ ისწრაფიან ისინი, ან რა არის მათთვის მიუღებელი და ზღვარს მიღმა. თუკი გვინდა, რომ ჩვენი მეტყველება „მომაჯადოებელი“ იყოს, მასში მსმენელმა უნდა დაინახოს ჭეშმარიტად წარმმართველი იდეა, მოქნილი ფრაზებითა და დამაჯერებელი სიტყვების ნაერთით. აუდიტორია უნდა ისმენდეს აზრის გადმოცემის ღვთაებრივ ხელოვნებას და არა „არტახებში“ მომწყვდეულს. აუდიტორია თავისი აზროვნებით უნდა მონაწილეობდეს ხელშესახებ, „ცოცხალ“ მსჯელობაში. როგორც ვთქვით, მხოლოდ მართებულად მეტყველთ და სიბრძნის მოყვარულთ შეუძლიათ მეტყველებისათვის სიღრმისა და მომხიბვლელობის მინიჭება.

სამსჯელო საგანთა სიღრმე და არსი არის საფუძველი ყოველი კერძო თუ საჯარო სიტყვისა. მჭევრმეტყველება სწორედ მაშინ ადგას ჭეშმარიტ გზას, როდესაც ითვალისწინებს საერთო პრობლემებთან თანაზიარობას, მან უნდა გაუადვილოს მსმენელს შემეცნება იმ ფაქტებისა, რომელიც მას „აიძულებს“ მიემხროს ორატორის მიერ შემოთავაზებულს. შეხედულების შეცვლა, აზრის ტრანსფორმირება, რომელიც მოდის მჭევრის შეგონებისაგან არ უნდა ზღუდავდეს მსმენელის თავისუფლებას, მან მხოლოდ ბიძგი უნდა მისცეს და დაანახოს აუდიტორიას თუ რატომ უნდა გახდეს მისი გონება მოწოდებული იდეის თანაზიარი. ავტორის მიერ განხორციელებულ სიტყვათა სწორ სელექციას შეუძლია, ღრმად დამარწმუნებელი ფრაზები შესთავაზოს აუდიტორიას, რაც გააადვილებს მსმენელის „მიმხრობას“. ორატორმა უნდა მიმოიხილოს მთავარი სათქმელის ყოველი დეტალი და მასზე დაყრდნობით ააგოს მთლიანი სტრუქტურის საბოლოო სურათიც. ასევე, არ უნდა ვეცადოთ, სწრაფი მონაცვლეობით მივაწოდოთ მსმენელს მარწმუნებელი ეპიზოდების კასკადი. მივცეთ მას საშუალება, რათა თავისი გონება სწორად და დინჯად გააქტიუროს, დარწმუნდეს მოწოდებული აზრის უპირატესობაში, რაშიც სამეტყველო რიტმის ცვალებადობაც კი უაღრესად მნიშვნელოვანია.

ძნელია მივაკვლიოთ სიტყვის აგების უნივერსალურ გზას, რადგანაც ეს უკანასკნელი განეკუთვნება ადამიანური აქტივობის განსაკუთრებულ სახეს. იგი, ანუ რიტორი, მსჯელობისას ეფუძნება როგორც რეალურს, ისე დასაშვებ და მისაღებ თეორიებს. სიტყვის ავტორი მუდმივად მზად უნდა იყოს როგორც „ლოგიკური შეტევისათვის“, ისე თავდაცვისთვისაც, რათა „დაიპყროს“ ესა თუ ის არეალი. მთხრობელი ფრაზებს უმთავრესად ღრმა აზრის შემცველი სიტყვა-კომპოზიტებით ქმნის, რათა მათ დააკისროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია. აუდიტორიასთან კონსენსუსის მისაღწევად ლიტერატურულ გემოვნებასთან ერთად, პროფესიული ინსტინქტიც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

UDC [808.5:17]
SCOPUS CODE 3315
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-352-364

For The Understanding Of The Phenomenon Of Eloquence

Vazha Papaskiri Department of Georgian Philology and Media Technologies, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: v.papaskiri@gtu.ge

Reviewers:
M. Shelegia, Associate Professor at the Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences, GTU
E-mail: mamukashelegia@yahoo.com
L. Katamadze, Associate Professor ,Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences, GTU
E-mail: qatamadzelia12@gtu.ge

Abstract. There is nothing in the world so tempting as to show off our own oratorical abilities. After all, speech is an external manifestation of spiritual pain and admiration for many, various reasons. That is why a person never "misses" an opportunity (the occasion) for rhetorical "shining". In which, many nuances of speech artistry come together. The shocking impact of the bare truth and the "open wounds" of the soul "greyed" by the pains. When we hear to the orator's phrases, "overwhelmed by passions". It is as if we are forgetting the real environment and we resemble that bewildered spectator, which is under the influence of the tragedy played out on the stage by the great artist.

Eloquent, or an eloquent speaker, this is an actor endowed with outstanding speech. Which presents itself in all its inner and outer sophistication. The immense philosophical depth of human passions, desires, and aspirations and bliss filled with magical colors. It is obvious that any orator determines the significance of positive or negative events by imagining the strengthening and weakening of human emotions. At the same time, the orator, with his "supernatural" speech, is a source of both uplift and extreme pessimism for humans. The orator must provide high accessibility to any fact and event and with his incomparable art, he can shape the world he desires. To accomplish this goal, the orator uses various traditional and innovative methods, which ultimately create the desired environment that he envisioned to be embodied.

Keywords: Communication; Knowledge of yourself and others; Moral mentality; Morality and ethics; Philosophy; Public responsibility; Rhetoric; sincerity; Subconscious and genetics.

განხილვის თარიღი 31.03.2025
შემოსვლის თარიღი 15.04.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025